ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N3

ქ.თბილისი 17 ნოემბერი, 2017 წელი
17^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: დავით უჯმაჯურიძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი	ლევან არველაძე
რამინა ბერაძე	გიორგი ბირბიჩაძე
გიორგი გაბაშვილი	თემურ გორგაძე
გულია გოცირიძე	ოთარ გრიგოლია
ლევან დავითაშვილი	ბექა დავითულიანი
მარინა დათუკიშვილი	ლევან დარახველიძე
გიორგი დოხტურიშვილი	ნიკოლოზ ვაჩეიშვილი
ირაკლი ზარქუა	გოჩა თევდორაძე
ფრიდონ ინჯია	თევდორე ისაკაძე
ერეკლე კუხიანიძე	ანა ლაშხი
ნინო ლაცაბიძე	ლილე ლიპარტელიანი
ქეთევან მამულაშვილი	გიორგი მუსხელიშვილი
ირაკლი ნადირაძე	თინათინ ნიბლოშვილი
შალვა ოგბაიძე	ელენე ოზაშვილი
ლევან ჟორჟოლიანი	დათო ჟღენტი
დათო რურუა	რევაზ სოხაძე
თამარ ტალიაშვილი	დავით უთმელიძე
ვახტანგ შაქარიშვილი	თარაშ შურღაია
გიორგი ჩაკვეტაძე	ავთანდილ ცინცაძე
ვლადიმერ ძნელაძე	დავით ჭელიძე
ლევან ხაბეიშვილი	ალექსანდრე ხუჯაძე
ლევან ჯაფარიძე	ილია ჯიშკარიანი
ჯაბა ჯიშკარიანი	ქეთევან ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ ქ.თბილისის მუნიციპალიტიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი), მოადგილეების, საქალაქო სამსახურების უფროსების და რაიონების გამგებლების თანამდებობებზე წარდგენილი კანდიდატები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა მარინა დათუკიშვილმა განაცხადა, რომ მიუხედავად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლების მცდელობისა, ქალაქის მერთან შეხვედრა და საუბარი მის მიერ წარმოდგენილ კანდიდატებზე არ შედგა. ასევე, ვერ ხერხდება მისთვის შეკითხვების დასმა საკრებულოს სხდომაზე, რადგან არც აქ მობრძანდა, იმ არგუმენტით, რომ „თურმე მას კანონი არ ავალდებულებს, ის ხალხის მიერაა არჩეული" და განაცხადა, რომ „ჩვენც ხალხის მიერ არჩეული საკრებულოს წარმომადგენლობითი ორგანო ვართ და პატივი უნდა სცეს საკუთარ თავს, როდესაც ასეთ ფრაზებს ისვრის". მარინა დათუკიშვილის თქმით, კალაძე აღმოჩნდა სუსტი, არ გამოხატა პოლიტიკური ნება შეხვედროდა ფრაქციას, რომ ესაუბრათ არგუმენტირებულად და აღნიშნა, რომ შეუძლებელია ნიკოლოზ ჭონქაძის მსგავსი ადამიანი იკავებდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობას, რადგან ის წარმოადგენს საფრთხეს ცივილიზებული საზოგადოებისთვის და ამის დასტურია მისი „ჰომოფობიური, ქსენოფობიური, ფაშისტური და უზრდელური გამონათქვამები". ასევე, არსებობს შეკითხვები გიგა ნიკოლეიშვილთან დაკავშირებითაც, რომელიც სამი წლის მანძილზე სათავეში ედგა „სუს"-ის პირდაპირ მმართველობას თბილისის მერიაში". მარინა დათუკიშვილის თქმით, საკრებულოს კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლების მხრიდან დაისვა საქმიანი შეკითხვები, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, არ იყო პასუხები. მარინა დათუკიშვილმა მიმართა საკრებულოს წევრებს „თუ არ გინდათ დეკლარირებულად განაცხადოთ, რომ ხართ სულიკო კედელაშვილები, გთხოვთ, ნუ მიიღებთ ამ ყველაფერში მონაწილეობას" და აქვე, ირაკლი ხმალაძეს გადასცა ფოტო, აუდიო და ვიდეო მასალა, რომელიც, მისივე თქმით, არის პასუხი კახა კალაძის სატელევიზიო კომენტარზე „რა დააშავა ბატონმა ჭონქაძემ".

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლევან ხაბეიშვილის თქმით, საკრებულოს უმრავლესობა აპირებს მხარი დაუჭიროს კახა კალაძის მიერ წარდგენილი კანდიდატურების, მათ შორის ნიკოლოზ ჭონქაძის, თანამდებობებზე დამტკიცებას და ამიტომ სხდომაზე წარადგინა საქართველოს კანონმდებლობიდან ამონაწერები, რომლებიც შეეხება ადამიანის უფლებების დაცვას და განაცხადა, რომ ნიკოლოზ ჭონქაძე იქნება არა მარტო ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსი, არმედ დედაქალაქის მთავრობის წევრი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღებაში. ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ თუ საკრებულოს წევრები მხარს დაუჭერენს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ნიკოლოზ ჭონქაძის დანიშვნას, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები საკრებულოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ სასამართლოში, „რადგან ადამიანი, რომელიც გამოირჩევა ჰომოფობიური, ქსენოფობიური, დისკრიმინაციული მიდგომებით და ძალადობის წახალისებით, არ შეიძლება იყოს დედაქალაქის მთავრობაში".

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი" თავმჯდომარე გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, რომ გაკვირვებულია „კალაძის ასეთი სტარტით", რადგან მას შეეძლო დაეწყო სხვანაირად და მოსულიყო საკუთარი კაბინეტის წარდგენაზე, აეხსნა თუ რა კრიტერიუმების მიხედვით შეარჩია ისინი, ესაუბრა თავისი პოლიტიკის შესახებ. გიორგი გაბაშვილის თქმით, კახა კალაძემ გამოავლინა პოლიტიკური უპატივცემულობა საკრებულოს მიმართ და თუ არსებობს პოლიტიკური ტრადიცია და განაცხადი, რომ პოლიტიკური პირი ღიაა თანამშრომლობისთვის, მას აქვს პასუხი ყველა შეკითხვაზე, დარწმუნებულია თავის ძალებში და სიმართლეში, მითითება

იმაზე, თუ რა წერია რეგლამენტში, გაუმართლებელია. მისი თქმით, კალაძის საკრებულოში არ მოსვლა მეტყველებს იმაზე, რომ მას არ აქვს დამაჯერებელი პასუხები, თუ რატომ ტოვებს თანამდებობებზე იმ მიმართულების ხელმძღვანელებს, რომელთა საქმიანობასაც თავად აკრიტიკებდა წინასაარჩევნოდ, რატომ ტოვებს თანამდებობებზე იმ გამგებლებს, რომელთა მოადგილეები და თანამშრომლები კორუფციულ გარიგეგებში მონაწილეობის გამო იყვენენ დაკავებულები, უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე რატომ აარჩია მაინცდამაინც ის ადამიანი, რომელიც უმცირესობების მიმართ სიძულვილით, ქსენოფობიით და ჰომოფობითაა გაჯერებული და არ აქვს პოლიტიკური პასუხები იმ საკითხებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია თბილისელებისთვის. სხვა შემთხვევაში გაუგებარია, პოლიტიკურმა არჩეულმა ლიდერმა რატომ უნდა თქვას უარი გამოიყენოს ტრიბუნა იქ, სადაც მას ელოდება უმრავლესობა, მხარდამჭერები და საიდანაც შეუძლია მიმართოს თავის ქალაქს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ „კოლეგებმა შეგვიყვანეს იმ მოედანზე, სადაც აპრიორი წაგებულები ბრძანდებიან“, რადგან 2012 წელს, ქართული საზოგადოება გაერთიანდა სწორედ მათ მიერ ნახსენები ძალადობის, სიძულვილის და ფაშიზმის წინააღმდეგ და ამ ბრძოლის სათავეში, ბიძინა ივანიშვილთან ერთად, იდგა კახა კალაძე. მისი თქმით, ამ სიტყვებით არ უნდა საუბრობდნენ ის ადამიანები, რომლებიც იყვნენ იმ ძალადობრივი რეჟიმის შემოქმედნი, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა ძალიან ბევრი მოქალაქე და მათ შორის იყვნენ თავადაც და ნიკოლოზ ჭონქაძეც. ვახტანგ შაქარიშვილმა მიმართა ოპონენტებს „ის რებრენდინგი, რაც თქვენ ჩაატარეთ და გაიყავით ორ ნაწილად, საზოგადოებას შეცდომაში ვერ შეიყვანს იმიტომ, რომ თვენი ბრენდი და თქვენი ერთიანი სახელი არის მეგის ქარდავა“. ვახტანგ შაქარიშვილმა აქვე განაცხადა, რომ საკრებულოს უმრავლობა დედაქალაქის მთავრობის წარმოდგენილ შემადგენლობას და მათ შორის, ნიკოლოზ ჭონქაძესაც მხარს დაუჭერს, რადგან ეს ის შემადგენლობაა, რომელიც ყველაზე ადეკვატურია და შესაბამისობაშია „ქართული ოცნების“ იმ ამბიციურ გეგმასთან, რომელმაც თბილისის მოსახლეობის მხრიდან უდიდესი მხარდაჭერა მიიღო და წარმატებები უსურვა წარმოდგენილ კანდიდატებს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების მხრიდან ადამიანის უფლებებზე საუბარი უხერხულია, რადგან „წლების განმავლობაში ეს ძალა სისხლში ახრჩობდა განსხვავებულ აზრს“ და ისაუბრა მარინა დათუკიშვილის მიერ წარმოდგენილ აუდიო და ვიდეომასალაზე, სადაც თითქოს ასახულია ერთი ადამიანის ჰომოფობიური და ქსენოფობიური განცხადებები. თინათინ ნიბლოშვილმა განაცხადა, რომ თავად არის ის ადამიანი, რომელსაც 2009 წლის 14 ივნისს, მარჯანიშვილის ქუჩაზე თავს დაესხნენ და სასტიკად გაუსწორდნენ მაშინდელი ხელისუფლების „ზონდერები“. მან ასევე, ისაუბრა სასამართლო ხელისუფლებაზე და აღნიშნა, ოპოზიციის წარმომადგენლები საუბრობენ იმაზე, რომ დღეს, სასამართლო თანამდებობებზე აღადგენს საბავშვო ბაღებიდან და მერიიდან უკანონოდ გათავისუფლებულ კადრებს, პარალელურად აკეთებენ განცხადებებს, რომ სასამართლო ხელისუფლებას მთლიანად აკონტროლებს მმართველი ძალა და მიმართა მათ „იქნებ, ჩამოყალიბდეთ და ერთი პოზიცია გქონდეთ - სასამართლო ხელისუფლება დღეს დამოუკიდებელია თუ არ არის დამოუკიდებელი“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ლევან ჯაფარიძემ მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს, რომ დღეს „ბატონი კახა, მისი გუნდი, საკრებულოს ნებისმიერი წევრი მოგიწოდებთ თანამშრომლობისა და კონსტრუქციულობისკენ“, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში იყვნენ ადამიანები, რომლებიც როგორც მოსახლეობას, ასევე ჟურნალისტებს ემუქრებოდნენ „სულის ამოხდით“ და იძახდნენ - „ყველანი ციხეში“. მისი თქმით, ეს სიტყვები ახსოვს მთელ საქართველოს და მიმართა ოპონენტებს, დღევანდელ მთავრობასთან და საკრებულოსთან იმაზე საუბარი, რომ თანამდებობაზე ვირჩრევთ ისეთ ადამიანს, რომელიც ამას არ იმსახურებს, „ძალიან უხერხულია“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ლილე ლიპარტელიანმა მიმართა თინათინ ნიბლოშვილს „არა მარტო სასამართლო ხელისუფლება, ხელისუფლების ყველა შტო დღეს ბიძინა ივანიშვილის ჯიბეშია ნამდვილად. რაც შეეხება მეგის ქარდავას და ა.შ., თქვენი პოლიტიკური ძალა, რომელმაც ბედუკაძე დააჯილდოვა, არ შეიძლება საუბრობდეს იმ თემებზე, რა თემებზეც ეხლა გვიწევს საუბარი“. მისი თქმით, ოპოზიციის წარმომადგენლებმა საქმიან და კონსტრუქციულ რეჟიმში წარმართეს დიალოგი საკრებულოს კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე და განაცხადა, რომ „თუ კითხვის დასმა შოუს მოწყობაა, რეგლამენტში შევიტანოთ ცვლილება და კითხვის დასმა გავხადოთ შოუ“. ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები საუბრობენ საქმიანად და მიმართა უმრავლესობის წევრებს „ძალიან ზედმეტია ეს ცხრა წელი, შვიდი წელია უკვე ხელისუფლებაში ხართ და თუ შეიძლება შვიდ წელზე ვისაუბროთ“. მისი თქმით, დავით ნარმანია ისე წავიდა თანამდებობიდან, რომ ღირებული არაფერი შეუქმნია და გამოთქვა მოსაზრება, რომ კახა კალაძის მიერ წარდგენილი მთავრობის წევრებით, ადგილობრივ ხელისუფლებაში იქნება მმართველობის ისეთივე ოთხი წელი, როგორიც იყო ნარმანიას ხელისუფლების დროს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დავით უჯმაჯურიძემ გაიხსენა 2009 წლის გაზაფხული, როდესაც მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა გაიტაცეს, მანქანა დაუწვეს და წებოვანი ლენტით შებოჭილი, თავზე პარკჩამოცმული დატოვეს საგურამოს ტყეში. ამის შემდეგ, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების მხრიდან, გაუგებარია ნიკოლოზ ჭონქაძეზე და პრივატულ სივრცეში მის პოსტებზე საუბარი. ხალხი ენდო კახა კალაძეს და ჩვენ გუნდს, რომელიც შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს, ხოლო თუ ვერ გავაკეთებთ საქმეს, ვისაუბროთ წლების შემდეგ, „ეხლა ზედმეტია ამ თემაზე საუბარი“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილი გამოეხმაურა სხდომაზე გაჟღერებულ ინფორმაციას, თითქოს მერიაში „სუს“-ის მმართველობაა და განაცხადა, რომ სწორედ გიგა ნიკოლეიშვილის სახელს უკავშირდება ისეთი საქმეები, როგორებიცაა: მდინარე მტკვრის გაწმენდა, რაც არ გაკეთებულა ბოლო 50 წელზე მეტია, თბილისის სხვადასხვა უბნებში სკვერების და ბაღების მოწყობა და რაც მთავარია, გარე ვაჭრობის აკრძალვა, რის გამოც პრაქტიკულად შეუძლებელი იყო მეტროსადგურების მიმდებარე ტერიტორიებზე გავლა. თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ გიგა ნიკოლეიშვილი თანამდებობაზე შერჩეულია თავისი კომპეტენტურობიდან გამომდინარე და დარწმუნებულია, რომ წარმატებით განაგრძობს საქმიანობას. მან აქვე განაცხადა, რომ მხარს უჭერს კახა კალაძის მიერ წარდგენილ კანდიდატებს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე ირაკლი ნადირაძემ მიმართა თბილისელებს „თუ გაიგებთ, რომ ქართული ოცნება საუბრობს ცხრა წელზე, ეს ნიშნავს იმას, რომ ისინი ვერ აგვარებენ საცობების, პარკირების და ინფრასტრუქტურის პრობლემებს, გამწვანებულ და რეკრეაციულ ტერიტორიებს ისევ ბიძინა ივანიშვილზე ყიდიან, კიდევ უფასურდება ლარი, თბილისში კიდევ უფრო მეტი გაჭირვება, სიღარიბე და სოციალურად დაუცველია“. ირაკლი ნადირაძემ ასევე, მიმართა უმრავლესობის წევრებს „დიახ, ბატონებო ის ცხრა წელი, რომელიც თქვენ ვერ მოგინელებიათ, საქართველოს ახალ ისტორიაში იყო ყველაზე წარმატებული წლები, ეს იყო განვითარების, წინსვლის და წარმატების წლები... დიახ, ჩვენ ნამდვილად არ გვრცხვენია ამ ცხრა წელზე საუბარი, ჩვენ ბევრი შევცვალეთ უკეთესობისკენ, თქვენ ვერაფერი გააკეთეთ ამ ხუთი წლის განმავლობაში და მიდიხართ უკან... თქვენ თუ გგონიათ, რომ ყველა იმ მწვავე პრობლემას, რომელიც თბილისში არსებობს, ამ ცხრა წელზე საუბრით გადაფარავთ, ძალიან ცდებით იმიტომ, რომ თბილისელები ყოველდღე ელოდებიან ძალიან ბევრი კონკრეტული პრობლემის მოგვარებას და ამაზე სურდათ დღეს თქვენგან ინფორმაციის მოსმენა“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და თბილისის

მთავრობის წევრებად წარდგენილ კანდიდატებს, რომლებსაც „ქართული ოცნების“ გუნდი დღეს გამოუცხადებს შესაბამის ლეგიტიმაციას და განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ საქართველოს უახლეს ისტორიაში გამოირჩევა ორი მიმართულებით, რომლებზე დაფუძნებითაც ეს გუნდი მოვიდა ხელისუფლებაში. პირველ რიგში ეს იყო სწორედ ცხრა წელთან დაკავშირებით გონივრული პასუხის გაცემა და მეორეს მხრივ, ეს არის სამომავლო გეგმებთან დაკავშირებული არა დემაგოგიური, არამედ ნაყოფიერი საუბარი. გიორგი ჩაკვეტაძემ აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში ვისაუბრებთ იმაზე, თუ რა გვსურს და რა შეიძლება გაკეთდეს თბილისში კახა კალაძის მერობის პერიოდში და განაცხადა, რომ „მჯერა, გუნდი, რომელმაც წლევანდელი თვითმმართველობის არჩევნები მოიგო, იქნება საქმეზე ორიენტირებული“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე ბექა დავითულიანი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და თბილისის მთავრობის წევრებად წარდგენილ კანდიდატებს, რომლებმაც, მისი თქმით, წინასაარჩევნო პროგრამის შემუშავებისას, აჩვენეს თავისი ხარისხობრივი უპირატესობა და ეს უპირატესობა დაინახეს თბილისელებმაც და მიმართა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს „ვიცით, რომ არ გრცხვენიათ იმ ცხრა წლის, თუმცა ყველას რცხვენია ამ ქალაქში, თქვენს გარდა და ეს დამტკიცდა არჩევნებით“. ბექა დავითულიანმა განაცხადა, რომ დღეს, თბილისის მთავრობის წევრებად წარმოდგენილია საკმაოდ კომპეტენტური გუნდი, რომელიც აღასრულებს კახა კალაძის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და „თბილისი აუცილებლად გახდება სიცოცხლით სავსე ქალაქი“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა გოჩა თევდორაძემ განაცხადა, რომ ის, რაც ხდება საკრებულოს დღევანდელ სხდომაზე - აპელირება იმ ცხრა წელზე და იმის წარმოჩინება, თითქოს საკრებულოში ოპოზიციური ძალა იყოს მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“, ადამიანს აიძულებს პარალელი გაავლოს საქართველოს პარლამენტის მუშაობასთან და მოუწოდა საკრებულოს წევრებს, დაასრულონ ეს პროცესები და ორიენტირებულები იყვნენ თბილისის განვითარებაზე.

ირაკლი ნადირაძემ, ფრაქციის სახელით, მოითხოვა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ნიკოლოზ ჭონქაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხის სხდომის დღის წესრიგიდან ამოღების წინადადების კენჭისყრაზე დაყენება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ საკითხის დღის წესრიგიდან ამოღების წინადადებას კენჭისყრაზე ვერ დააყენებს, რადგან მიმდინარე სხდომა არის რიგგარეშე, რომლისთვისაც გათვალისწინებულია კონკრეტული დღის წესრიგი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) თანამდებობაზე ირაკლი ხმალაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე მაია ბითაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ირაკლი ბენდელიანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე გიგა ნიკოლეიშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე ვლადიმერ ჭიღლაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გაიოზ თალაკვაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე სერგო ბირკაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გიორგი ბაგრატიონის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე სოფიო ხუნწარიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გივი კუბლაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე მამუკა მუმლაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გელა ჩივიაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გიგა გიგაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გიორგი პაპავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ნიკოლოზ ჭონქაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ირაკლი გვილავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეგლის თანამდებობაზე გაიოზ ვასაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეგლის თანამდებობაზე დავით კირკიტაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეგლის თანამდებობაზე ლევან ჯაფარიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეგლის თანამდებობაზე ნოდარ ტურძელაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეგლის თანამდებობაზე ირმა ზავრადაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეგლის თანამდებობაზე ზურაბ ჩიკვილაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეგლის თანამდებობაზე ბექა მიქაუტაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგეგლის თანამდებობაზე ირაკლი ხელაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

26. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეგლის თანამდებობაზე კახაბერი ლაბუჩიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

27. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე დავით კერესელიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

28. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ბადრი გიორგიძის არჩევის შესახებ“.

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

მომხრე - 43

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ნიკოლოზ ჭონქაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხის სხდომის დღის წესრიგიდან არ ამოღება ნიშნავს იმას, რომ საკრებულოს წევრები აპირებენ მის დამტკიცებას წარდგენილ თანამდებობაზე, რითიც ისინი შეურთდებიან ნიკოლოზ ჭონქაძის მიერ გაკეთებულ ქსენოფობიურ, ჰომოფობიურ, ფაშისტურ და ძალადობრივ განცხადებებს. ირაკლი ნადირაძის თქმით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა საქმიან რეჟიმში განიხილეს ყველა საკითხი, თუმცა არ აპირებენ „კახა კალაძის მთავრობის საზეიმო დამტკიცებაში“ მიიღონ მონაწილეობა და პროტესტის ნიშნად, დატოვეს სხდომა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატს ირაკლი ხმალაძეს, რომელიც მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნო კახა კალაძის მიერ წარდგენილი კანდიდატების ბიოგრაფია და სამუშაო გამოცდილება. მან აქვე აღნიშნა, რომ „ეს არის გუნდი, რომელთან ერთადაც ბატონი კახა მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში მუხლჩაუხრელად იშრომებს თბილისის პრობლემების მოსაგვარებლად“. მისი თქმით, 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მოპოვებული საზოგადოების მაღალი ნდობა აორმაგებს პასუხისმგებლობას და გუნდის თითოეული წევრი შერჩეულია პროფესიონალიზმის, მაღალი კვალიფიკაციის, გამოცდილების და საქმისადმი ერთგულების პრინციპით. სწორედ ამიტომ, გუნდს, რომელიც დღეს წარმოდგენილია საკრებულოში შესწევს უნარი, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, კეთილსინდისიერად და ეფექტურად ემსახუროს დედაქალაქს, თითოეულ მოქალაქეს, შეასრულოს ყველა ის დაპირება და პროგრამა, რომელიც გაცხადებული იყო წინასაარჩევნო კამპანიის დროს.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილია პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდი, რომელიც უზრუნველყოფს წინასაარჩევნო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მიმართულების და პრიორიტეტის რეალიზებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი“ თავმჯდომარე გიორგი გაბაშვილმა რამდენიმე კითხვით მიმართა ირაკლი ხმალაძეს, რაიმე პოლიტიკური ჩანაფიქრი ხომ არ არის ის, რომ თანამდებობებზე რჩებიან იმ მიმართულების ხელმძღვანელები, რომლებსაც წინასაარჩევნოდ აკრიტიკებდა კახა კალაძე და მაგალითისთვის დაასახელა კეთილმოწყობის, საფინანსო, ტრანსპორტის და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა საქალაქო სამსახურები; მან აღნიშნა, რომ მედიის საშუალებით, სხვადასხვა პოლიტიკოსების და ექსპერტების მხრიდან ხშირად ისმოდა, რომ გიგა

ნიკოლეიშვილი მერიაში წარმოადგენდა „სუს“-ის კადრს და უზრუნველყოფდა, რომ ნარმანია, გადაწყვეტილებების მიღებისას, არ ყოფილიყო დამოუკიდებელი და დაინტერესდა, მერის მოადგილის თანამდებობაზე გიგა ნიკოლეიშვილის დანიშვნა არის თუ არა კახა კალაძის გადაწყვეტილება; გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, რომ გასაგებია დამოკიდებულება, „რომ თქვენ უარესები იყავით“, მაგრამ ეხლა საუბარია არა წარსულზე, არამედ მომავალზე, კადრების შერჩევაზე, უსაფრთხოების სამსახურზე, რომ ჰომოფობია, ქსენოფობია და ეთიკის ნორმების დარღვევა ცუდი და მიუღებელია და იმ ფონზე, როდესაც არსებობს ბევრი პროფესიონალი კადრი, დაინტერესდა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ნიკოლოზ ჭონქაძის დანიშვნა კახა კალაძის გადაწყვეტილებაა თუ ეს აზრი მას მიაწოდეს.

ირაკლი ხმალაძემ უპასუხა დასმულ შეკითხვებს და აღნიშნა, რომ არავითარი პოლიტიკური ჩანაფიქრი არ არის ის, რომ არსებული კადრების გარკვეულმა ნაწილმა შეინარჩუნა თანამდებობა, რადგან თბილისის მთავრობაში იყვნენ ადამიანები, რომლების საქმიანობაც იყო წარმატებული, ხოლო რაც შეეხება კრიტიკას, გამოწვეული იყო იმდროინდელი მართვის პრინციპით, რადგან „ჩვენ მეტი შეგვიძლია“. ირაკლი ხმალაძის თქმით, კახა კალაძემ თავად დააკომპლექტა თბილისის მთავრობის ახალი შემადგენლობა, რომელიც შერჩეულია პროფესიული ნიშნით და რომელსაც შესწევს უნარი თავი გაართვეს დაკისრებულ მოვალეობებს. ირაკლი ხმალაძემ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ნიკოლოზ ჭონქაძის დანიშნასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ამ ადამიანს უსაფრთხოების და დაცვის სფეროში აქვს ოცდაორწლიანი გამოცდილება. შესაბამისად, წარმოდგენილია პროფესიული კუთხით და ისევე, როგორც გიგა ნიკოლეიშვილს, შესწევს უნარი კეთილსინდისიერად და მაღალი კვალიფიკაციით გაართვას თავის დაკისრებულ მოვალეობას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა დათო ჟღენტმა აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა თბილისის მთავრობა წარედგინა ქალაქის მერს, თუმცა, რადგან იგი არ ესწრება სხდომას, დაინტერესდა, თვლის თუ არა ირაკლი ხმალაძე, რომ ბიუროკრატიული ხარჯები გაბერილია, აპირებენ თუ არა ამ ხარჯების შემცირებას და გამოთავისუფლებული თანხის გადანაწილებას საპენსიო დანამატის დაწესებაზე და სხვადასხვა სოციალური პროგრამების განხორციელებაზე.

ირაკლი ხმალაძემ აღნიშნა, რომ ხარჯების ოპტიმიზაციის და ეფექტური მმართველობის მიზნით, დაგეგმილია სტრუქტურული რეფორმა. მისი თქმით, რეფორმის მთავარი არსი იქნება ის, რომ დაინერგოს მართვის ეფექტური სისტემა და ადმინისტრაციული ხარჯი იყოს ოპტიმალური. რაც შეეხება გამოთავისუფლებულ თანხას, ისევე, როგორც დამატებით მოძიებული თანხა, მიმართული იქნება მხოლოდ და მხოლოდ დედაქალაქის მოსახლეობის კეთილდღეობისკენ, იქნება ეს ინფრასტრუქტურული, სოციალური თუ სხვა საჭირო პროექტები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ელენე ოზაშვილი დაინტერესდა, გაგრძელდება თუ არა ისეთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რომლებიც შეჩერებული იყო დავით ნარმანიას მერობის პერიოდში. კერძოდ, როგორებიცაა: შემოვლითი რკინიგზის და ვეფხვის და მოყმის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიიდან სამტრედიის ქუჩის მიმართულებით საგზაო ხიდის მშენებლობის პროექტები, რითიც თბილისს დააკლდა განვითარების შესაძლებლობა და ზოგადად, განხორციელდება თუ არა მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები კახა კალაძის მერობის პერიოდში.

ირაკლი ხმალაძემ განაცხადა, რომ „რაღაცა რომ შევაჩეროთ, ჯერ დაწყებული უნდა იყოს“, ხოლო „ვეფხვი და მოყმის“ პროექტი, არც კი დაწყებულა. თუმცა, ეს არის ერთ-ერთი მასშტაბური პროექტი, რომლის განხორციელებაცაა დაგეგმილი და რომელმაც დიდი როლი უნდა შეასრულოს ქალაქში არსებული საცობების განტვირთვაში. რაც შეეხება შემოვლითი

რკინიგზის პროექტის განხორციელებას, განიხილება სხვადასხვა ალტერნატივა და უახლოეს პერიოდში, ამ კუთხითაც იქნება მიღებული გადაწყვეტილება.

გიორგი გაბაშვილის თქმით, მისთვის გასაგებია პოლიტიკური კონიუქტურა და პარტიული გადაწყვეტილება, რომ საკრებულოს უმრავლესობის წევრებმა უნდა გაამართლონ კახა კალაძის საკრებულოში არ მოსვლა, თუმცა თუ დავით ნარმანიამ შეძლო საკრებულოში მოსვლა და შეკითხვებზე პასუხის გაცემა, კახა კალაძის მხრიდან საკრებულოში არ მოსვლა „აროგანტული და არასწორი საქციელია", რომლის გამართლება იმ მოტივით, რომ ის ხალხის მიერ არჩეული მერია, მიუღებელია, რადგან პრეზიდენტებს ირჩევს ხალხი და ისინი მიდიან ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტში, ხოლო მერები მიდიან საკრებულოში - ეს არის დემოკრატიის წესი. მისი თქმით, თუ პოლიტიკური თანამდებობის პირს აქვს პრეტენზია, წარმოადგენდეს მთელ ქალაქს და არ იყოს მხოლოდ „პარტიულ ნაჭუჭში ჩაკეტილი მოღვაწე", შეეძლოს საუბარი, კითხვებზე პასუხების გაცემა და საკუთარი პოზიციის დაცვა, არ უნდა მოერიდოს პირველივე შესაძლებლობას. გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, რომ საკრებულოში მოსვლა კახა კალაძისთვის იყო არა რისკი, არამედ შესაძლებლობა ესაუბრა თავის პროგრამაზე და წარმოდგენილ კანდიდატებზე, თავი არ აერიდებინა დასმული შეკითხვებისთვის და ჰქონოდა ნორმალური კომუნიკაცია საზოგადოებასთან. მისი თქმით, „პოლიტიკოსების ოცნება" არ არის ესაუბრონ მერს, ეს არის ნორმალური პოლიტიკური კულტურის შემადგენელი ნაწილი, რომელიც სასურველია იყოს ქალაქში და მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს, რომ მომავალზე საუბრისას, მუდმივად წარსულზე საუბარი და დღევანდელი შეცდომების წარსულში დაშვებული შეცდომების გახსენება ყოველთვის ხაზს გაუსვამს თქვენს სისუსტეს და იმას, რომ არ შეგიძლიათ დაასაბუთოთ დღევანდელი გადაწყვეტილებები. გიორგი გაბაშვილმა აღნიშნა, რომ მათთვის თვითმიზანს არ წარმოადგენს უმრავლესობასთან „პოლიტიკური კიკნლაობა" და არავინ აპირებს „შეჯიბრს რიტორიკაში" თუ როდის უფრო უკეთესი მმართველობა იყო, ვისი მმართველობის დროს წავიდა ქვეყანა უფრო წინ, როდის უფრო გაიზარდა სიღარიბე, გაუფასურდა ლარი, გაუჭირდათ ადამიანებს პირველადი საჭიროებების შეძენა და როდის მოხდა ეკონომიკური სტაგნაცია და როდის მოხდა ეკონომიკური ზრდა. მათი მიზანია ბრძოლა ქალაქისთვის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებისთვის, რომლებიც შეჩერდა პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, მოსახლეობის სოციალური საკითხების გაუმჯობესებისთვის, იმ პროგრამების განხორციელებისთვის, რომლებიც მოაგვარებს დასაქმების პრობლემას. გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, რომ „თუ გვინდა ნორმალური ურთიერთობა, აქ უნდა ყოფილიყო ქალაქის მერი და ამ განხილვას უნდა ჰქონოდა ცივილიზებული სახე", თუმცა ეს ასე არ მოხდა, რაც ძალიან სამწუხარო და არასწორი გადაწყვეტილებაა. მისი თქმით, საკრებულოს უმრავლესობის წევრებს წარმოდგენილ კანდიდატებთან შეკითხვებიც კი არ ექნებათ, რადგან ეს ერთიანი პარტიული გადაწყვეტილებაა, თუმცა მომავალში, თუ უმრავლესობის წევრები ჩათვლიან, რომ „ეს საკრებულო უნდა იყოს გავლენიანი", მაშინ მისი უმრავლესობის წევრები უნდა იყვნენ გავლენიანები „და ასე არ უნდა გადაყლაპონ, რასაც თბილისის მერიიდან მოიტანენ". გიორგი გაბაშვილმა დააფიქსირა პოზიცია, რომ დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებენ და ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი" წევრებმა დატოვეს სხდომა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე ბექა დავითულიანმა განაცხადა, რომ სასიხარულოა პოლიტიკურ ოპონენტებთან ერთიანი შეხედულებების ქონა, კერძოდ, ის, რომ პრობლემების ჩამონათვალი, ხშირ შემთხვევაში, საერთოა, თუმცა, სამწუხაროა ის, რომ ტაქტიკური საკითხები არის განსხვავებული. მისი თქმით, თუკი საკრებულო იმუშავებს ქალაქში არსებულ იმ პრობლემებზე, რომლებსაც იზიარებენ როგორც ოპოზიციონერი, ასევე უმრავლესობის წევრები, თანამშრომლობა იქნება უფრო კონსტრუქციული. ბექა დავითულიანმა კომენტარი გააკეთა კახა კალაძის საკრებულოში არ მოსვლაზე და განაცხადა, რომ მისი მოსვლა არანაირი პრობლემა არ იყო, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ამას არ ითვალისწინებს რეგლამენტი, არ ჩაითვალა საჭიროდ.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ „ნამდვილად ბევრი გვაქვს სასაუბრო დღევანდელ დღეზე და ამიტომ არის ასეთი ნდობა თბილისის მერისა და ჩვენს მიმართ“ და ქ.თბილისის მუნიციპლიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი კანდიდატების თანამდებობებზე დანიშვნის საკითხები თანმიმდევრობით დააყენა კენჭისყრაზე.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) თანამდებობაზე ირაკლი ხმალაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 39

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე მაია ბითაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 40

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ირაკლი ბენდელიანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 40

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე გიგა ნიკოლეიშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე ვლადიმერ ჭიღლაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 40

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გაიოზ თალაკვაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 39

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე სერგო ბირკაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 40

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გიორგი ბაგრატიონის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 40

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე სოფიო ხუნწარიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 39

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გივი კუბლაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 40

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე მამუკა მუმლაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 40

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გელა ჩივიაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 40

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გიგა გიგაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 40

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გიორგი პაპავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 40

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 39

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ნიკოლოზ ჭონქაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრაველესობით იქნა მიღებული.

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ირაკლი გვილავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 40

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეგლის თანამდებობაზე გაიოზ ვასაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 40

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეგლის თანამდებობაზე დავით კირკიტაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 40

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეგლის თანამდებობაზე ლევან ჯაფარიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე ნოდარ ტურძელაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 39

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე ირმა ზავრადაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 40

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე ზურაბ ჩიკვილაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 39

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე ბექა მიქაუტაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 37

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე ირაკლი ხელაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 40

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

26. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე კახაბერი ლაბუჩიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 39

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

27. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე დავით კერესელიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 40

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

28. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ბადრი გიორგიძის არჩევის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 39

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ თბილისის მერის მიერ წარდგენილ კანდიდატებს მიულოცა თანამდებობებზე დამტკიცება, წარმატებები უსურვა მათ და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 28 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი